

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში, მთვლით ბეჭდვით სიფყვას, ცყულებით და ჭაბჭობით ბუდის გაცანა ყველა უკადრისმბაგე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სუთხაბათი, 31 ოქტომბერი, 2013 წელი.

№209-210 (7337)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გარდაიცვალა ბებია ელპიტა!

6



არჩევანი სხვას, არაღანიც სხვას. ჩვენ?

3

არ მისის, დასავლეთი მაღლობას რატომ უხდის სააკაშვილს, ბოლოს და ბოლოს „ცოცხებიანი“ ქვეყანა დაბვიტოვა...

7

დღის ამფრაზურიდან

24 საათზე მეტი გავიდა ახალი პრეზიდენტის არჩევიდან და რა... არც ხელფასებმა მოიმატა, არც პენსიებმა, ვერც დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნეთ... დროა, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნოს!

facebook

სააკაშვილი ბრიუსელში აღვოპატის დასამირაბულად ჩავიდა?

2

10 რამ, რისტოვისას ქართველებს სააკაშვილი ახსოვთ

8

ცნობილია ის სუთიული, რომელის ახალ მთავრობაში თანამდებობას შეინარჩუნებს

4

ჯუმბერ ბეთაშვილი - კასი, რომელის სისოცხლეს უყვარდა

5



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ღრონი მეფოვენი

პატრიარქი ბიორგი მარგველაშვილს პრაზიციანობას ულოცავს

სამხრეთკავკასიის კათოლიკოს-პატრიარქმა გიორგი მარგველაშვილს პრეზიდენტად არჩევას მიულოცა. „მის აღმატებულებას საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ გიორგი მარგველაშვილს. თქვენო აღმატებულებას, საქართველოს ეკლესიისა და ბირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ საქართველოს პრეზიდენტად არჩევას. ხალხი იმედით გიყურებთ და შევთხოვ ღმერთს, მოგცეთ ძალა, ამ მოლოდინის გამართლებისა. საქართველოს ახალ სივრცეში უწყვეტად ადგილის დამკვიდრება, რაც რთული პროცესია. ვიმედოვნებთ, შეძლებთ, უპასუხოდ დროს გამოწვევებს და ამასთან დაიცვათ ქვეყნის უმთავრესი ღირებულებები. წყალობა ღვთისა არ მოგკლებოდეთ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა თქვენისა, რათა ღირსეულად ემსახუროთ ჩვენს ქვეყანას და ხალხს“, — ნათქვამია ილია მეორის მიხალაოც წერილში.

მისალოცი წერილი პრაზიციანობას

სამხრეთკავკასიის კათოლიკოს-პატრიარქი პრეზიდენტ-მინისტრს გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებას ულოცავს. „მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტ-მინისტრ ბატონ ბიძინა ივანიშვილს, თქვენო აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტად ბატონ გიორგი მარგველაშვილის არჩევას თქვენი წარდგინებით მოხდა, ამიტომაც ბირადად გილოცავთ მის დამაჯერებელ გამარჯვებას.



ქვეყანამ მეტად რთული 20 წელი განვლო. ხალხი იმედით შეხუტრებს მომავალს და ამ იმედს ძირითადად თქვენზე ამყარებს. რა თქმა უნდა, ეს დიდი პატივიცაა და პასუხისმგებლობაც. ღმერთმა მოგცეთ ძალა წარმატებული, ღვთისმოყვარული, განათლებული, სამართლიანი, მშვიდობიანი ქვეყნის აღმშენებლობისა. უფალი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს შემწე და მფარველი“, — ნათქვამია პატრიარქის მილოცვაში.

რუსეთის პატრიარქი იველოვანს...

მოსკოვში და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი გიორგი მარგველაშვილს სამხრეთკავკასიის პატრიარქი ბიორგი მარგველაშვილს ულოცავს. პატრიარქ კირილის მილოცვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოს ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა. „გულითადად გილოცავთ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე არჩევას. ეს გამარჯვება მოწმობს ქართველი ხალხის ნდობას თქვენს და თქვენი პროგრამის მიმართ. ვიმედოვნებ, რომ თქვენი საქმიანობა პრეზიდენტის პოსტზე გახსნის ახალ ფურცელს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში“, — ნათქვამია პატრიარქ კირილის მიხალაოცში. რუსეთის პატრიარქი აღნიშნავს, რომ რუსი და ქართველი ხალხი ერთმორწმუნე ერებია და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო სულიერი და ზნეობრივი, ასევე კულტურული ფასეულობებით. „გისურვებთ სულიერ და ფიზიკურ სიმტკიცეს, ასევე ღვთის დახმარებას მისალოცვაში. პასუხისმგებლო სამსახურში“, — ნათქვამია მისალოცვაში.

გაფლანგე? — პასუხიც ავა!

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი მილიანად დახარჯულია



სამხრეთკავკასიის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებისა და ყოფილი თანამდებობის პირების სწავლის დაფინანსებას, ასევე მათ სოციალურ და ერთჯერად ფინანსურ დახმარებებს მოხმარდა, — განაცხადა ფონდის მინისტრმა. თანხების ძალიან დიდი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“, აქტივისტების და ყოფილი თანამდებობის პირების სწავლის დაფინანსებას, ასევე მათ სოციალურ და ერთჯერად ფინანსურ დახმარებებს მოხმარდა, — განაცხადა ფონდის მინისტრმა. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ფონდი აღარ არის, თუ საქართველოს ახლად არჩეულ პრეზიდენტს ინაუგურაციის შემდეგ ფუნქციების შესასრულებლად და გადუღებული საჭიროებისათვის სახსრები დაასჭირდება, თანხას საქართველოს მთავრობა გამოყოფს.

მერიან პეპრაშვილის კომპანიებისათვის სამ მილიონ ლარზე მეტია გადახარჯული

მერიან 2011-2012 წლებში დავით კეზერაშვილთან დაკავშირებულ კომპანიებს 3 მილიონზე მეტი ლარი გადაუხარჯეს, — ამის შესახებ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ზაზა გაბუნია „რეპორტიორის“ პრეს-კლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პრესკონფერენციაზე ზაზა გაბუნია თბილისის ბიუჯეტის სარეკლამო საქმიანობისათვის არამიზნობრივად და გაუმჭირვალედ დახარჯული თანხების შესახებ დოკუმენტაცია წარადგინა. მისივე ინფორმაციით, ამ სფეროში ამ ეტაპისთვის სამი ეპიზოდი იკვეთება. — თბილისის მერიის ადმინისტრაციასა და შპს „ჯენერალ მედიას“ შორის, რომელიც თავდაცვის ყოფილი მინისტრთან დავით კეზერაშვილთან ასოცირდება, 2011 და 2012 წელს გაფორმდა ხელშეკრულებები 1571 587 ლარსა და 1 700 000 ლარზე (ჯამში 3 271, 587 ლარი), რომლითაც „ჯენერალ მედია“ იღებდა ვალდებულებას ქართულ ტელე-ვიზიონარულ სარეკლამო რგოლების განთავსებაზე. იმავე დავით კეზერაშვილთან დაკავშირებულ კომპანია „აუთდორ ჯისტან“, მერიის ადმინისტრაციამ 2012 წლის 20 თებერვალს გააფორმა ხელშეკრულება ბანერების ბეჭდვის მომსახურებაზე და სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი, — განაცხადა ზაზა გაბუნია. მისივე შეფასებით, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დარღვეულია თავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლები, რაც გამოიხატა იმაში, რომ დამალულია თანხების მიზნობრიობა და სხვა დეტალები. ამასთან, როგორც ზაზა გაბუნია აღნიშნა, სახელშეკრულებო პერიოდი ემთხვევა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებას და მაღალი ალბათობით, თანხები სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო სარეკლამო მიზნებისთვის დაიხარჯა. — რამდენადაც თანხების მიზნობრიობა დაფარულია, ეს ნიშნავს იმას რომ მერიამ ფულადი სახსრები დახარჯა ისეთი ამოცანებისთვის, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება მერიის საქმიანობას, — აღნიშნა ზაზა გაბუნია და დასძინა, რომ შემდგომი მოკვლევის მიზნით, დოკუმენტაცია საგამოძიებო ორგანოებს გადაეგზავნება.

ინტერპრესი

როცა ხაზს ვიკავებ ჩასაჭიდავლად...

საპაშვილი ბრიუსელში აღმოკატის დასაქმებულად ჩაიბედა?

მინილ საპაშვილისა და გიგი უგულავას ბრიუსელში გამგზავრებასთან დაკავშირებით, საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე თავის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას ავრცელებს, რომლის მიხედვით ისინი საფრანგეთში ადვოკატის ასაყვანად ჩაიბედა. ფოფხაძე სოციალურ ქსელში ამ ადვოკატის ფოტოსაც ავრცელებს. „როგორც მითხრეს, ამ კაცის დასაქმებულად ნაშვილდნენ საფრანგეთში გიგი და პრეზიდენტყოფილი... თუ ბატონი დუპონ მორეტი გახდა დავით კეზერაშვილის ადვოკატი, საქართველოს პროკურატურას მეტად გაუხალაფორთდება საქმე, რადგან ერიკ დუპონ-მორეტის ჯერ საფრანგეთში საქმე პრაქტიკულად არ ნაუგია“, — წერს გიორგი ფოფხაძე ფეისბუქის გვერდზე. როგორც ცნობილია, ქვეყნის პირველმა პირმა და თბილისის მერმა თბილისის 28 ოქტომბერს გვიან ღამით დატოვეს. ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი და თბილისის მერი ბრიუსელში ევროკავშირის ხელმძღვანელ პირებს, მათ შორის ევროკომისიის თავმჯდომარეს — ჟოზე მანუელ ბაროზოს შეხვდებიან. მიხეილ სააკაშვილმა ბრიუსელში გამგზავრებამდე, აეროპორტში ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საკუთარი საპრეზიდენტო ვადის დასასრულს და ვილინუსის სამიტის წინ მსგავსი მაღალი დონის შეხვედრები მნიშვნელოვან, კონკრეტულ და ამავე დროს, სიმბოლურ აქტად მიიჩნია. „მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა ბოლო ორ არჩევნებზე — მტკიცეული იქნებოდა, ჩვენ გვეკონოდა შანსი, რამე არასწორად გადავეკეთებინა, არასწორი გზით წავსულიყავით და მაინც წავგვევარდინებინა. როდესაც ავებ არჩევნებს მას შემდეგ, რაც სწორი რაღაცეები გააკეთე, მაინც არის დიდი კმაყოფილების გრძობა და ეს არის შემდგომი გამარჯვების საწინდარი. ეს უნდა ვუთხრა ყველას, ვინც ნერვიულობს დღეს შექმნილ სიტუაციაზე — არ გაიტყუოთ გული, არ ჩამოუშვათ ხელელები, ყველაფერი იქნება ძალიან მაგრად, ამაში დარწმუნებული ვარ, ოღონდ ხელის განმრევა ყოველთვის საჭიროა“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. აღსანიშნავია, რომ ბრიუსელში სააკაშვილისა და უგულავას ვიზიტების მომზადებაში საგარეო უწყება ჩართული არ იყო. როგორც მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა განაცხადა, ამ ვიზიტთან დაკავშირებით მათ ბრიუსელში საქართველოს საელჩოსთვის შეიტყვეს. „ამის შესახებ ჩვენ ბრიუსელში საელჩოსგან შევიტყვევით. ბუნებრივია, დაკავშირება პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან მოხდა. ჩვენ ამ ვიზიტის მომზადებაში არც ტექნიკურად, არც შინაარსობრივად ჩართული არ ყოფილვართ, მხოლოდ ინფორმაცია გვექონდა“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა. ანარმობებს თუ არა სააკაშვილი და უგულავა მოლაპარაკებას ცნობილ ადვოკატ ერიკ დუპონ-მორეტისთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში და მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ამ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ამბობენ, რომ სააკაშვილის ვიზიტზე განცხადება უახლოეს დღეებში ოფიციალურად გაკეთდება. საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მთავარმა პროკურორმა გააკეთა განცხადება, რომ არსებობს კონკრეტული საქმეები, რომლებზეც პროკურატურას კითხვები შეიძლება ჰქონდეს მიხეილ სააკაშვილის მიმართ.



ტიკო ხელიაი

სიღარიბიდან — სიღიდრისკენ

უცხოური ინვესტიციები საქართველოში: შესაძლებლობების სიჭარბე

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გაგვინა სამხრეთი კავკასიის რეგიონში ბევრად ჩამორჩება თავისი ენერჯის წყაროებით მდიდარი მეზობელი აზერბაიჯანის გაგვინას, პოზიტიური ურთიერთობები ამ ორ ქვეყანას შორის გვარწმუნებს, რომ საქართველომ მაინც საკმაო სარგებელი ნახა უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი შემოდინებიდან ქვეყანაში. თუმცა რუსეთთან ბოლოდროინდელი პოლიტიკური და სამხედრო კონფლიქტების შედეგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე საქართველოში რჩება იმაზე დაბალი, ვიდრე ის შეიძლება იყო. ამჟამად საქართველოს 185 ქვეყანას შორის მე-9 ადგილი უჭირავს მსოფლიო ბანკის ბიზნეს-სათვის ხელსაყრელი გარემოს რეიტინგის თანხმად — ამ თვალსაზრისით ის წინ უსწრებს დიდი ოცეულის (320) სამ ქვეყანას. ეს აღსანიშნავი მიღწევაა ქვეყნისათვის, რომელმაც მხოლოდ 22 წელია, რაც თავი დააღწია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ეკონომიკას. თუმცა, ის, რაც საქართველოს ხდის უცხოური ინვესტიციებისათვის განსაკუთრებულად მიმზიდველ ქვეყნად, არის მისი „ინვესტიციების დაცვის“ კრიტიკიკულუმიების მაღალი რეიტინგი, რითაც ის წინ უსწრებს ისეთი საერთაშორისო ინვესტიციების მრავალმნიშვნელოვან წარმატებულ პროექტს, როგორცაა ჩილი, საუდიის არაბეთი და ტაივანი. კიდევ უფრო გასაკვირია ის ფაქტი, რომ საქართველოს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს მოცემულ კავ-



ტეგორიაში, ვიდრე ბევრ დიდ განვითარებულ ქვეყანას — იაპონიას, ნორვეგიას და შვედეთს. ამჟამინდელმა ხელისუფლებამ განაცხადა მზადყოფნა, მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, რისთვისაც დააარსა ეროვნული სანდვისტიციო სააგენტო, რომელსაც და-

ესკრა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობის გაორმაგება 2 მილიარდ დოლარამდე. თუმცა ეს გეგმა საკმაოდ ამბიციურია, ის არავითარ შემთხვევაში არ არის არარეალისტური, რადგანაც მთელმა რიგმა ინვესტიორებმა უკვე გამოხატეს დაინტერესება. უფრო მეტიც, ეს ინვესტიციები დიდწილად იქნება კონცენტრირებული იმ სექტორებზე, სადაც საქართველოს წარმატების ისტორია აქვს: ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი. საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა სოფლის მეურნეობის სექტორის პროორიტიზაცია ინვესტიციების თვალსაზრისით და რიტორიკას ინვესტიციებისათვის მიმზიდველი ფინანსური შეღავათებიც დაურთო.

ALEXANDER BOTTING, GUEST CONTRIBUTOR

საბბრეშო პოლიტიკა განსასაზღვრავი თუ საშინაო, ყველაფერზე გვეუბნებიან: „არჩევანი მე, არადავნი მე? შენ? შენ...“ არა, მთლად ამ სიტყვებს როგორ გვაკადრებს დახვეწილი მანერების მქონე დასავლეთი ან, თუნდაც, ცალკე აღებული ამერიკა, ეს გამორიცხვულია, მაგრამ საქმით ისე გვგმობენ ტრადიციული თუ არატრადიციული სერვისები ჩვენ და ჩვენზე დიდ სახელმწიფოებსაც, როგორც გაუნადრებელი (ტრადიციულია, საუკუნეების მანძილზე აპრობირებული, ძალზე ეფექტიანი და წარმატების მომზადი სახელმწიფოს ლიდერების მოქრთამა-შანტაჟი-მკვლელთა და, ურჩობის შემთხვევაში, პირდაპირი აგრესია; არატრადიციული სერვისი, შედარებით, ახალია, მასობრივად დაწესდა უკანასკნელ 40-50 წელიწადში — თავსმონეული, არააუცილებელი პროექტების განხორციელებისთვის საჭირო „იაფი“ სესხების მარყუჟის კისერზე ჩამოცმა, ქვეყნის ნიაღვრის, სტრატეგიული ობიექტების და სხვა სიმდიდრეების გაყიდვის იძულება; ყველაზე ახალი მეთოდი კი მრავალია. არასამთავრობო ორგანიზაციის დაარსება, მათი უხვად დაფინანსება და იქ გამოზრდილი (ამერიკაში ტრენინგებზე გაწვდილი) კადრებით ხელი-სუფლების მეთოდურად დაკომპლექტება, შემდგომი სრული კონტროლის დაწესებით სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსზე.

ძალა აღმართს ხნავს და ამიტომ, თითქოს, ჩვენც სხვა გზა არ დავგრძენია — უნდა დავმორჩილდეთ განგებას და შევეგუოთ ჩვენს დაწვევებებს, უარი ვთქვათ ქართველობაზე (გვეუბნებიან, რომ ეროვნული ტრადიციების დაცვა და პატრიოტიზმი დრომოჭმულია, ჩამორჩენილობის მაჩვენებელი, და ჩვენც მორჩილად ვუჯერებთ სანიმუშოდ მიჩნეულ დემოკრატიულ დასავლეთს); ენაზე (მთელი მსოფლიო ინგლისურად ლაპარაკობს და რაღა დროს ქართულად ლაპარაკობს); მამულზე (მინა-წყალი თუ არ გაყიდეთ, ინვესტორი არ შემოვა და დაილუპებთო, ტყუილს ხომ არ იკადრებენ ჯენტლმენები?) და მართლმადიდებლობაზე (აბა, ერთს-ქესიანთა ქორწინებას რომ ეწინააღმდეგება ეკლესია, ისაა კარგი? ამახ ხომ ჩვენი ძალაა უნდა მივხედოთ, სხვების დაუხმარებლად!). განა, რა ჯობს მთელ მსოფლიოში გაბნევის და გლობალისტური ძალების ფერხულში ჩაბმას. მერე რა, რომ ჩვენი წინაპრები უსაოვარი დროინდელი სისხლის ფასად იცავდნენ ამ მიწას გადამთიელებისგან, რა აუცილებელია მშობლიური მიწის დაცვა. მომგებიანად გაყიდვა ნაწილ-ნაწილ, ბითუმად ან განვადებით, გაცლიებით ადვილი არაა, ვიდრე დაცვა? გავიშალოთ დუნიანზე, ბუნებაში ხომ არაფერი არ იკარგება — რამდენიც წავალთ, ერთი იმდენი ან ცოტა მეტიც ჩვენთან შემოვა, მიტოვებულ ქართულ მიწას პატრონი უსაოვოდ გამოუჩნდება; არც იმით დაშავდება რამე, თუ ქართველები, ადგილისდა მიხედვით, ზოგიერთნი გავამერიკელებით, გავევროპელდებით, გავთურქდებით და ა.შ. სამაგიეროდ, საქართველოში შესული რინელები, აფრიკელები, სხვა ეროვნების ხალხები და თურქები (შემოსულთა 90%) გაქართველდებიან, უკაცრავად, გათურქველდებიან, ზუსტად ისევე, როგორც ეს თურქეთშია დაკანონებული, იქ ხომ ყველანი, ეროვნებისდა მიუხედავად, თურქებად იწოდებიან. ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს ის, რომ საქართველოში დარჩენილი ერთი მუჭა ქართველებიც გათურქდებიან, ენასაც და ირრრრრრ და სარწმუნოებასაც; ისტორიის ფურცლებში კი ჩაიწერება, რომ ამ მიწაზე ცხოვრობდა ძველი კულტურის, საკუთარი ენის და დამწერლობის მქონე ერთ-ერთი პირველი ქრისტიანი ერი, რომელმაც ხელისუფლების მიერ მოტყუებულმა, ვერ გაუძლო გლობალისტების შემოტევას — მათ მაცდურ დაპირებებს, მიაყიდა ყველაფერი, რაც კი რამ კარგი ეხება, აიკრრა გუდა-ნაბადი და ისე შეერია მსოფლიოს ზღვა მოსახლეობას, როგორც ოკეანეს პატარა მდინარე, და იქმნა შთანთქმული, მისი კვალი ნაიშალა, ერი როგორც ასეთი გაქრა — გადაშენდა, თუმცაღა, კარგახანს მისი შვილები ქართველებად იწოდებოდნენ, წარმოშობით ქართველებად! ჩვენზე დიდი ერები არ გადაშენებულან, თუ რა!

თუ გვსურს გადავიშენოთ და გადაშენება, მაშინ „ნატოს“ გზა უნდა ავირჩიოთ, თუკი გადადარჩენაზე ვფიქრობთ, როგორც მარტლმადიდებელი ქართველი ერი, მაშინ

ერთადერთი გზა არის დიდი ერეკლეს გზა, თანაც, 200-წლოვანი ისტორიით გამოცდილი, ნარ-ეკლიანი გზა, მაგრამ მაინც ქართული გენის და ქართული სულის გადამრჩენი — განათლების, მეცნიერების, კულტურის ამაღორძინებელი. რომელი რუსოფობი იტყვის, რომ სპარსეთ-ოსმალეთის შემოსევებით სისხლისგან დაცლილი საქართველო არ გადარჩა და არ განვითარდა რუსეთის, განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, და დედა არ გვეტირა „დამოუკიდებლად“ ყოფნის 20 წელიწადში, განსაკუთრებით, ბოლო 10-ში. ფაქტებს ვერსად წავუვალოთ. რაც შეეხება მძიმე წლებს, რეპრესიებს ამ 200 წლის მანძილზე, იგი არ ყოფილა მხოლოდ ქართველებისთვის,

იქნება იმ კანონების მიღების წინააღმდეგ, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში მიღებული პუტინის რუსეთში მხოლოდ ჩვეთვის განსაკუთრებით საყურადღებო ოთხ კანონზე შეეხებოდა: პირველი, — 2013 წლის ივნისში რუსეთის სახელმწიფო დუმამ ერთხმად მიიღო ე.წ. „ანტიმამათავლო კანონი“, რომელიც კრძალავს ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას არასრულწლოვანებში. ამ კანონის მხარი დაუჭირა 436 დეპუტატმა და მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი! კანონის დარღვევა სხვადასხვა ოლენობის ფულად ჯარიმებს ითვალისწინებს — 1500 დოლარიდან 30 000-მდე; უცხოელთათვის კი — გაქვევებას ან 15-დღიან პატიმრობას. კანონის მიღების აუცილებლობა განა-

არჩევანი სხვას, არადავნი სხვას. რვენ?



ანუ რაბო არ ვიღებთ საჭირო კანონებს?

ზუსტად ისეთივე მძიმე დღეში იყვნენ რუსებიც, სხვა ხალხებზე რომ არაფერი ვთქვა, ამიტომ ეს არგუმენტი რუსების სალანძღავად არ გამოდგება. ისიც უნდა ითქვას, რომ „დამონებულ“ საქართველოში გაჭირვებულად, მაგრამ რუსეთზე ნაკლებად ნამდვილად არ ვცხოვრობდით, წესრიგით მეტი იყო და პატიოსნებაც. ამა-საც არ გაუვა წყალი! და ყველაფერი ეს უცხვ, ერთი ხელის მოსმით მოვსპეტ 10-20 წელიწადში, გავანადგურეთ „უანგარო დახმარების“ და უსაშველო საგარეო ვალების ფონზე! იქნებ რამე მეშლება, იქნებ სხვაგვარადაა სიტუაცია საქართველოში და მე ვერ ვამჩნევ ამას?!

საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან: მოახერხებს კი დღეს ქორვილაში (ან სხვაგან) გაჭირვებული გლეხის ოჯახში დაბადებული მეთრე ბიძინა ივანიშვილი ჯერ თბილისში უნივერსიტეტის და შემდეგ მოსკოვში ასპირანტურის დამთავრებას? ამ გვარი მაგალითების მოყვანა ხომ უსასრულოდ შეიძლება ნებისმიერი სფეროდან. რუსეთის დაშლა და, მასთან ერთად, ჩვენიც(!), გორბაჩოვმა წამოიწყო, რაც უხვი პრემიებით და მილიონებით დაუფასეს დასავლეთში; ელცინმა ბოლომდე მიიყვანა „პრისვატიზაციად“ წოდებული რეფორმა და დაასრულა რუსეთის დაქვევანაიება. პუტინმა კი, თავისი პრინციპულობით და ჭკვიანური ავტორიტარული მმართველობით (ნავთობზე მაღალი ფასების წყალობითაც), რუსეთს ნაწილობრივ მაინც დაუბრუნა ძველი დიდება და პატივისცემა საერთაშორისო ასპარეზზე.

ჩვენი ხელისუფლება და ჩასაფრებული „ენჯლოშნიკები“ მხოლოდ უარყოფითს შედეგს რუსეთში და ვერ ამჩნევენ იქ მიღებული იმ უაღრესად მნიშვნელოვან კანონებს, რომლებიც ჩვენთვისაც სასიცოცხლოა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ შემჩნევით კი ამჩნევენ, მაგრამ მსგავსი კანონების მიღებას საქართველოში ვერ შედეგენ, ჩვენად გასაკვირვად, ენასაც კი არ ასეველებს არაფერი, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე ვერ ვხედავთ იღრებულელების დამცველი ადამიანებიდანაც კი არადა, რომელი ნორმალური ადამიანი

პირობა მეოცე საუკუნის ბოლოს და, განსაკუთრებით, 21-ე საუკუნეში დაწვევულმა ადამიანის ხელოვნურად(!) გადაგვარების პროცესმა, როცა გლობალისტებმა ლმერთის მიერ მონიჭებული ნიშნების ჩამორთმევა-დამახინჯება დაუწყეს ადამიანებს — ჯერ, ეროვნება წაართვეს, შემდეგ, — მამრობით და მდედრობით სქესს საშუალო(?) სქესი დაუმატეს, დედ-მამას სახელები შეუცვალეს და მათ მშობელი №1 და მშობელი №2 დაარქვეს (№1 მშობელი, ძველი გაგებით, მამად, სქესობრივი აქტიურობიდან გამომდინარე, ალბათ, აქტიური პედერასტი უნდა მივიჩნიოთ, №2-ად, დედად თუ დედლად კი — პასიური პედერასტი); ოჯახის ცნება მოშალეს და ერთსქესიანთა ქორწინება დააკანონეს; ოდითგან პათოლოგიად განსაზღვრული (მედიკოსების, ფილოსოფოსების და ყველა რელიგიის მიერ!) მამათავლობა ნორმად აქციეს და მას „არატრადიციული ორიენტაცია“ უწოდეს; მამათავლებს და ლესბოსელებს შვილად აყვანის, პარადების და პროპაგანდის — „გაფრადების“ მოწოდების უფლება დართეს.

ამაზე მეტი დევრადაცა რაღა უნდა განიცადოს ადამიანი, საზოგადოებაში ვერავითარი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა დასავლეთის ქვეყნებში ადამიანს ვერ დაიცავს ამგვარი გადაგვარება-გადაშენებისგან!

სწორედ ამ, ნორმალური ადამიანისთვის (საზოგადოებისთვის) ყოველად მიუღებელი და უაღრესად საშიში ტირის თავიდან ასაცილებლად იქნა მიღებული, რუსეთის და მართლმადიდებლური ეკლესიის ძალისხმევით, ეს „ანტიმამათავლო კანონი“.

მეორე, — 2013 წლის ივნისში მიიღეს კანონი მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის თაობაზე, მკრეხელობის წინააღმდეგ, რომლის დარღვევაც ათი ათასი დოლარით დაჯარიმებას ან ერთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს (მსგავსი კანონი ინგლისში 2008 წელს, პირიქით, გააუქმეს!), ამერიკაში კი თვლიან, რომ როგორცაღა არ უნდა შეურაცხოს ვინმე ვინმეს რელიგიური გრძნობები — სიტყვით, კარიკატურით თუ „პერფორმანსით“, ამ მოტივით ადამიანის გასამართლება

სიტყვის თავისუფლებას ეწინააღმდეგება(?)).

კანონის მიღება განაპირობა მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ გახშირებულმა (არა მარტო რუსეთში) შეურაცხყოფელმა გამოჩენილებმა და ქმედებებმა, რისი ბოლო წერტილიც ქალთა პანკ-ჯგუფი, ე.წ. „Pussy riot“-ის მკრეხელური გამოსვლა გახდა მოსკოვში მაცხოვრის საკათედრო ტაძარში. Pussy riot-ის ზუსტი თარგმანი იმდენად ვულგარულია, რომ მისი სრულად დაწერაც კი უხერხულია, იგი „ამბოხებულ მუტებს“ ნიშნავს, და არა — „ფისუნიებს!“ ეს რომ ნამდვილად ასეა, თავად ამ ჯგუფის ბოზანდარა გოგონებმა დაადასტურეს რამდენიმე წლის წინათ მოსკოვის ბოლოლოგის მუხუშში, სადაც მათ, გაშიშვლებულმა, თავიანთ მამაკაცებთან ერთად ცოცხალი სექსის შოუ გამართეს სხვადასხვა პოზაში და გაუკულმართებელი ფორმითაც; მონაწილეთაგან ერთ-ერთი, ამჟამად ციხეში მყოფი ტოლოკონნიკოვა მ თვის ფეხშიმე გასლდათ იმ დროს, „ცხვირზე მუცლით“!

მართლმადიდებლობის შეურაცხყოფელთა აღვირახსნილობას საზღვარი სწორედ პუტინის რუსეთში დაედო!

თითქმის იგივე უმსგავსობა გაიმეორეს თბილისშიც, როცა 2013 წლის 16 მაისს (ცნობილი 17 მაისის წინა დღეს!) სამმა ქართველმა (ორმა ბიჭმა და ერთმა გოგომ) უხამსი წარმოდგენა (ე.წ. „პერფორმანსი“) გამართა ქაშუეთის ტაძრის შესასვლელთან; უფრო ადრე, 2012 წლის სექტემბერში კი ტაძრის ეზოში კედელზე წმინდა ნინოს კარიკატურა დახატეს. მერე რა? შერჩათ სახევით, ვინაა პატრონი!

მისამდე, — 2012 წლის ნოემბერში ძალაში შევიდა კანონი „უცხოეთის აგენტების თაობაზე“, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციების (ასო-ების) საქმიანობაზე (დაფინანსების წყაროებზე, ოდენობაზე, სარეგულაციო კონტროლის დაწესების თაობაზე. მისი მიღება განაპირობა იმ გარემოება, რომ, როგორც ფაქტებით გაირკვა, პოლიტიკური არასტაბილურობის გამომწვევი — ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლების მომწიფობი და ინციტორები უცხოეთიდან დაფინანსებული ასო-ები ყოფილან! ასეთი კი 654 ორგანიზაცია გამოიყვანა, და მათ კოლონალური თანხა — ერთი მილიონი და დოლარი(!) ჰქონდათ მიღებული ოთხ თვეში ამ ორგანიზაციებს, რომელთა შემოსავლები არც კი იბეგრება(!), ბარე სუთნაირი სახელი აქვს: არასახელმწიფო, არასამთავრობო, არაკომერციული, საზოგადოებრივი, მესამე სექტორი (პირველ სექტორს სახელმწიფო ორგანიზაციებს უწოდებენ, მეორეს — კომერციულ ორგანიზაციებს); ისინი ასობითაა შექმნილი თითქმის ყველა სახელმწიფოში და მათი მთავარი მოვალეობა დამფინანსებელი სახელმწიფოების ინტერესების გატარებაა, ანუ არასასურველი ხელისუფლებისთვის „წყლის შეყენება“ და სასურველი რეჟიმების, როგორც, მაგალითად, სააკაშვილის, მხარდაჭერა დასავლეთში (ამერიკაში, პირველ რიგში) შესწავლილი სხვადასხვა ტექნიკური სკვლებით და PR-ილეთებით.

რამდენი ასეთი ორგანიზაციაა ჩვენთან, ვინ საიდან ფინანსდება და რაში ხარჯავს, ვიცით დაზუსტებით რამე? ვინ შეხედავს არასამთავრობოებს — თქვენი დაფინანსების წყაროები, სარეგულაციო ორგანიზაციის მოღვაწეობის ინტეგრირებას ანგარიში ჩაგვაბარეთო. შეხედავენ კი არა, ყოველწერილმანზე აზრს ეკითხებიან და საკვანძო პოსტებზე დასანიშნ კადრებსაც ამ ორგანიზაციებიდან არჩევენ.

მეორე, — კანონი ივნის უცხოელებზე მივიდვის თაობაზე კარგა ხანია შესულია ძალაში და იგი კრძალავს: სასოფლო-სამეურნეო (!), საზღვრის მიმდებარე, საზღვაო პორტების საზღვრებში არსებული, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განსათავსებელი და სახელმწიფოს თავდაცვის და უსაფრთხოებისთვის საჭირო მიწების მიყიდვის უცხოელებზე ამ კანონის 2015 წლისთვის დადგენილება ახალი შეზღუდვა — სპეციალური ნებართვის გარეშე უცხოელები ვეღარ იყიდონ საცხოვრებელს და ვერც არენდით აიღებენ მას (კანონპროექტი ეკონომიკური განვითარების სამინისტროში მზადდება).

კალენდარი

სწრაფი ის ხუთშაბათი, როგორც ახალ მთავრობაში თანამდებობას შეინარჩუნებს

მთავრობის ახალი შემადგენლობა 20 ნოემბრის შემდეგ დამტკიცდება. საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარის ირინა იმერლიშვილის განცხადებით, ახალ მთავრობას პარლამენტი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, უახლოეს პერიოდში დაამტკიცებს. კანონის თანახმად, ახალ პრეზიდენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა უმრავლესობამ უნდა წარუდგინოს და შემდეგ პრემიერ-მინისტრს პარლამენტში შემოჰყავს თავისი გუნდი - ახალი მინისტრთა კაბინეტი.

არჩეულმა პრეზიდენტმა ის ხუთშაბათი დაასახელა, რომლებიც ახალ მინისტრთა კაბინეტში შევლენ, ესენი არიან ჯანდაცვის, ფინანსთა, ენერჯეტიკის, ინფრასტრუქტურის და შს მინისტრები. რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრებს, კონკრეტულად ვინ შეინარჩუნებს თანამდებობას, გიორგი მარგველაშვილს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

რაც შეეხება უშიშროების საბჭოს მდივანს, არჩეული პრეზიდენტი ამბობს, რომ მან უკვე შესთავაზა ერთ-ერთ კანდიდატს, თუმცა, მისგან პასუხი ჯერჯერობით არ მიუღია. მარგველაშვილი არ ასახელებს კონკრეტულად ვის შესთავაზა ეს თანამდებობა, თუმცა, ვარცხლილე ინფორმაცია, რომ ეს თანამდებობა შესაძლოა მიხეილ მაჭავარიანის ძმამ, ვანო მაჭავარიანმა დაიკავოს. თავად მაჭავარიანი არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ მან უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტის დასაკავებლად შეთავაზება მიიღო.

ჩვენ ვთანამშრომლობთ გიორგისთან. ჩვენ სწრაფად ვსვდებით ერთმანეთს საგარეო პოლიტიკურ თუ უსაფრთხოების თემის განხილვის დროს, როგორც კრედიტული ჯგუფის, მრჩეველთა ჯგუფის წევრები, რომელიც იყო ჩართული წინასაარჩევნო პერიოდში. ასე რომ, კონკრეტულ თანამდებობაზე ჯერ არ ყოფილა საუბარი და ამიტომ, ჯერ ვერ გავაკეთებ ამაზე კომენტარს", - აცხადებს ვანო მაჭავარიანი.

ამასთან, ვრცელდება მეორე საგარეო კანდიდატი, პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის თავმჯდომარე და კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს მდივანი ირინა იმერლიშვილი. რა-

დღი პირველის ინფორმაციით, ამ ინფორმაციას „ქართულ ოცნებაში“ არაოფიციალურად ადასტურებენ, თუმცა, ოფიციალური კომენტარი ჯერჯერობით არ გაკეთებულა. თავად ირინა იმერლიშვილი კი ამ საკითხზე კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს. ირინა იმერლიშვილი საქართველოში ერთადერთი ქალია, რომელიც წინით გენერალია.

რაც შეეხება მთავრობაში დაგეგმილ ცვლილებებს, იმერლიშვილის ინფორმაციით, მინისტრთა კაბინეტში განსაკუთრებული ცვლილებები არ იგეგმება. მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ მომავალი პრემიერი, როგორც ბიძინა ივანიშვილი განაცხადა, მოქმედი მინისტრთა კაბინეტიდან იქნება, ერთი მინისტრის შეცვლა საჭირო იქნება. რაც შეეხება მომავალი პრემიერ-მინისტრის ვინაობას, იმერლიშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე დავით სერგენკოს კანდიდატურას არც უარყოფს და არც ადასტურებს.


თავად პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ მთავრობაში ცვლილებები არ იქნება, თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ თეორიულად შეიძლება ყველაფერი მოხდეს. მისი თქმით, ახალ პრემიერსაც ექნება შესაძლებლობა გამოთქვას თავის მოსაზრება მთავრობის გუნდთან დაკავშირებით.

„მთავრობაში ცვლილებები არ იქნება, თეორიულად შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ, პრაქტიკულად, მე არ მაქვს ამის გეგმა. ნუ დაგვიწყნადებთ, რომ ახალი პრემიერი, რომელიც დასახელდება, მას ექნება უფლებები და მას შეეძლება გუნდში ცვლილებები გამოიწვიოს. მართალია, ამის ცოტა ალბათობა არსებობს, რამე თუ ის გუნდის წევრია და იცის საერთო პოზიცია. თეორიულად შეიძლება რაღაც ცვლილება მაინც მოხდეს, თუმცა, ჩემი გადამოსახედიდან, ყველა მინისტრი შეინარჩუნებს

თავის თანამდებობას“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ახალ მინისტრთა კაბინეტში საფუძვლიან ცვლილებას არ ელის თავდაცვის მინისტრი. ირაკლი ალასანიას განცხადებით, ქვეყანას ახალი პრემიერი ეყოლება, რომელმაც მთავრობა ხელახლა უნდა დაამტკიცოს და პარლამენტმა ნდობა უნდა გამოუცხადოს.

კითხვაზე, ელოდება თუ არა ახალი პრემიერის დანიშვნის შემდეგ მთავრობაში ცვლილებებს, ალასანია პასუხობს, რომ საფუძვლიან ცვლილებებს არ ელოდება. ქვეყანას ახალი პრემიერ-მინისტრი ეყოლება, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მთელი მთავრობა ახლიდან უნდა დამტკიცდეს და პარლამენტმა ნდობა გამოუცხადოს. მე რაიმე დიდ, საფუძვლიან ცვლილებებს, როგორც პრემიერმა განაცხადა, არ ველოდები“, - აღნიშნა ირაკლი ალასანიამ. ექსპერტი კახი კახიშვილი იმე-



ლოვნებს, რომ ახალი მთავრობის მინისტრთა კაბინეტში კონკრეტული მინისტრები იქნებიან შეცვლილები.

„იმედი მაქვს, რომ ისევე შეზღვევნილობას ნამდვილად არ შემოგვთავაზებენ, როგორც ამას არჩევნების პერიოდში გვეუბნებოდნენ. რეალურად, საზოგადოებას ბევრი კითხვის ნიშანი აქვს ზოგიერთი მინისტრის მუშაობის ეფექტურობასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ საქართველოში, ახლ ეპოქაში, როდესაც ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები ჩასატარებელია, როდესაც ძალიან ძირფუძი საკითხები გადასახედი და ახალი რეგულაციები მოსაფიქრებელი, საქართველოს ხელისუფლებას სჭირდება ბევრად გამოცდილი და კომპეტენტური საკურორტორო დარგის მცოდნე სპეციალისტები. მართალია, ეს ყველა მინისტრს არ ეხება. აქედან გამომდინარე, იმედი, რომ კონკრეტული მინისტრები შეიცვლებიან“, - აცხადებს for.ge-სთან საუბრისას კახი კახიშვილი.

თამთა ძარჩავა

კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● გადაადგილდით, გადაადგილდით, - გაიძახიან ნაცგზებერნატორები. რა გადაადგილდით, ოქრობო, ახალი კონსტიტუციით გზებერნატორებს მთავრობა ნიშნავს და თქვენ დაგტოვებთ ივანიშვილის ფავორიტი პრემიერი?

● ჰოდა, კი არ გადაადგილდით, ისედაც გინევთ თქვენი მამამარჩინალის კუდაში მივალა და ჯობია იძახოთ - მივეყვით, მივეყვითო!

● ძალიან გულდაამძიმებელი ვარ. ძალიან ბევრია ასეთი პატარა ქვეყნისთვის ამდენი ბოლმა და სიბოროტე.

● მიზეზი იმის, რომ 55% არ მოვიდა არჩევნებზე და 21% სმა მიცა ნაცებს, ის კი არ არის, რომ ვინმეს ცოცხები მოენატრა, არამედ „კონსარბიტაციაო“ და ეს: როდესაც პიტლერმა სსრკ-ის ევროპული ნაწილი დაიკავა, კოლმეურნეობები არ გააუქმა. „სლაგების ექსპლუატაციის რა კარგი მეთოდი მოუგონია სტალინსო. მგონი კალაძესაც (მართლმას?) იგივე აზრები აწუხებს ტერიტორიებთან დაკავშირებით. ქართველების ძარცვის კარგი მეთოდები დაამსხვია მიშამო, ფიქრობს. ძნელია, როდესაც ჯიბეში თვითონ მოჩხრიალებს ფული, იმაზე უარს თქმა ეკონომიკის მინისტრი 2 თვეა ისეა



გატრუნული, რომ ვგრევე ეტეობა ქართველების წართმეულ ქონებას კარგად მოაჯდა. ფოთის პორტი ჩიტაურმა დაითრია. მარტანციის, ოქროს საბადოების, ბორჯომის მთავისებაში სააკაშვილ-ბუნდუქიძეს, ბეჟუაშვილებს, არაფერი უნდა ჩამორჩეს! თან რამდენი სფერო არ ჩამოვთვალე! მილიარდი დოლარის ბიზნესი კიდევ „ჯიბეში“ მაქვს გადამაღული. მაინტერესებს იმ თემებზე წამოცდებით თუ არა რაიმე.

● დღეს ჩემი უმცროსი შვილი ინტერნეტით პოლიგუდის საბავშვო სერიალის ახალგაზრდა ვარსკვლავ გოგონას ელაპარაკა... ჩვენ 70- 80-იანებში რომ გველაპარაკა: ჟაკლინ ბისესთან, რეჟულ უელთან, ან სუზი ქვათროსთან ნეტავი რა ჭკუაზე ვიქნებოდით?

● ჯავახიძეს რა ეშველება, ჯავახიძეს? ახელა ოჯახს რჩენა არ უნდა?

● ტრიუმფალური თალი ასწიეთ, ბაქრაძე თავი არ აარტყას.

● 24 საათზე მეტი გავიდა ახალი პრეზიდენტის არჩევიდან და რა... არც ხელფასებმა მოიმატა, არც პენსიებმა, ვერც დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნეთ... დროა, გადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაიწყო!

ამოკრება
ბიბა ბაბარიძე

პოზიცია

არჩევანი სხვას, არაღანის სხვას. ჩვენ?

(მესამე გვერდიდან) აი, ასეთი კანონი მოქმედებს რუსეთში, რომელსაც 250-ჯერ მეტი მიწა აქვს, ვიდრე საქართველოს, ერთ სულ მოსახლეთ გადამანაწილებით - 8-ჯერ მეტი! მართლა ერთი გოჯი სახნავ-სათესად ვარგისი მიწა გაგვანია და იმასაც ვყიდით!

რამ განაპირობა ასეთი, ერთი შეხედვით, ერთობ მკაცრი კანონის მიღება რუსეთში? მხოლოდ და მხოლოდ საღამო აზრმა, საკუთარ ქვეყანაზე ფიქრმა, მის მომავალზე სახელმწიფოებრივმა ხედვამ, რაც ასე აკლდა ადრე და დღესაც აკლია ჩვენს გუშინდელ თუ დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც საქართველოს პატრიარქის კატეგორიულ განცხადება-შეგონებასაც არ ისმენს: „არც მეფეს, არც პრეზიდენტს, არც პატრიარქს და არც არავის აქვს უფლება, ქართული მიწა გაყიდოს!“ ორივე, სიმბიოზში მყოფი ძველ-ახალი ხელისუფლება, ებრაული წყევლითაა დაწყვეტილი: „შენი არ გაცვადინა და სხვისი არ გაგაგებინაო“. მაგრამ მთლად სწორი შედარება ესეც არაა, ჩვენდა საუბედუროდ ხელისუფლებას მხოლოდ იმათი ეყურება, ვინც „ყველაფერი გაყიდეო“ ჩასჩინებს მას 24 საათი. ჩვენი ვაიმამულიშვილები მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბის მეფესეების, გაიძვერა ბანკირების ჭკუაზე დადიან!

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი კანონიდან, რომელი არ არის საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის? როგორ უნდა დაგიბრმავოს კაცს რუსეთის სიძულვილი თვალები, რომ ასეთი კანონები არ მიიღო და იმაზე ილაყობ პარლამენტში, თუ როგორი პრეზერვატივების წამოცმაა უმჯობესი, და კოცნა სექსუალური აქტია, თუ არა?! მართლ გარეკილ პირველმა კი არა, ჩვენც გავრეკეთ გვარიანად, თორემ ნაცებთან ჩახუტების უფლებას როგორ უნდა ვაძლევდეთ ქოცებს! რუსეთის სიძულვილი ვახსენე ზემოთ, მაგრამ სულ ჩაუხედავი უნდა იყო კაცი პოლიტიკაში, რომ ვერ მიხვდებოდა, რუსეთის მიერ ჩვენი მიწების ოკუპაცია არ არის ამ კანონების მიუღებლობის მიზეზი. ამ კანონების მიღებას სააკაშვილი და მისი ნაცები ვერ გაბედადნენ, თუნდაც რუსეთის პრობლემა, ან თავად რუსეთიც არ არსებულყო საერთოდ! ჩვენდა სამწუხაროდ, ვერც ივანიშვილი და მისი ქოცები აღმოჩნდნენ მათზე გამბედავები! ვინაა მისი ამომღები, ყველას მუცელში აქვს ენა ჩავარდნილი - ზოგს საგარძლის დაკარგვის შიშით, ზოგს - უკვე ნაშოვნი ფულის, ბევრს - მაკომპრომეტრებული მასალის (სექსუალური ხასიათის, მასზე ან ოჯახის წევრზე, თუ აგენტურული საქმიანობის) გამჟღავნების, ზოგსაც - გლობალისტური იდეოლოგიით ტვინგამორეცხილობიდან გამომდინარე!


გამოსავალი ერთადერთია, ყველანიანი ძალისხმევით უნდა მივალნიოთ ვადაძველ საპარლამენტო არჩევნებს. და კვლავ უსუსური, უმიტინისი და დასაყდრის მოთხოვნებზე უსიყვროდ დამყოლი პარლამენტი რომ არ შეგვრჩეს ხელში, აუცილებელია პარტიების ლიდერებს და მასობრივობის კანდიდატებს, სათითაოდ(!) მოვთხოვთ პასუხი საკვანძო საკითხებზე ნატოსთან, ნატოს ომებში მონაწილეობასთან, მამათ-მავლობასთან, უცხოეთიდან დაფინანსებულ არსამთავრობებთან, თურქების მოზღვავენასთან, მოქალაქეობასთან, ამერიკის ელჩის აქტიურობასთან, გიგანტური ჰესების მშენებლობასთან, მიწების გაყიდვასთან და სხვა პრობლემებთან დაკავშირებით. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან არავის არ გაუცია ამ კითხვებზე ამომწურავი პასუხი.

მხოლოდ პასუხებიდან გამომდინარე, და არა ვინმეს ხატობით, უნდა გადავწყვიტოთ, თუ ვის მივცეთ სმა მომავალ არჩევნებში. კანდიდატმა თავად უნდა მოიპოვოს რეკომენდაცია ხალხისთვის მისაღები პასუხებით. ახალმა პარლამენტმა პირველ კანონად დეპუტატთა გადავიღებულ(!) გამოწვევის კანონი უნდა მიიღოს, რათა ყველა დეპუტატს მანდატის დაკარგვის შიში ჰქონდეს, ანუ არა დასავლეთის შიში, არამედ - საკუთარი ამომრჩევლის, საკუთარი ხალხის შიში! თუ არ დამყარდება სამართლიანობა და არ მოხდება დამნაშავე ნაცმძრობის გასამართლება არჩევნებიდან უახლოეს თვეებში, მოჭყუებულ ამომრჩევლებს უნდა შეეძლოს სიტყვის გამტეხი დეპუტატების უპრობლემოდ გამოწვევა. დეპუტატთა გამოწვევის გამართლებულ წესის შემოღებით ერთხელ და სამუდამოდ დაესმება წერტილი ხალხის პერმანენტულ გაცურებას.

კოპიატიციური ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალი, დღევანდელი პარლამენტის შეცვლაა, და რაც უფრო ადრე მოხერხდება ეს, მით უკეთესი!

იაკოვ ლეჟავა,
27 ოქტომბერი, 2013

„Я друга потерял, а вы мне о стране. Я друга потерял, а вы мне о народе. На чёрта мне страна, где лишь цена в цене. На чёрта мне народ, где рабство и в свободе“.
Евгени Евтушенко



ძნელია ტკივილით დანაღმულ გულზე გაგლა... მაგრამ როგორც პოეტი გენო კალანდია წერს: „მეფერა მოვა დრო და ჩვენ მაინც დავბრუნდებით აფხაზეთში. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ჩვენგან წასული ბევრი ღირსეული პიროვნება ვერ მოესწრება ამ დღეს. ჩვენ დავბრუნდებით და მაშინ ჯუმბერეთით კაცები სკოლებად, გემებად, ობელისკებად დაუბრუნდებიან მშობლიურ კერას“. — ის ჯუმბერ ბეთაშვილს გულიანობდა. მეც მიინდა გვიანდამ ამ ადამიანზე, რომლის გულიც და გონებაც მთლიანად სიყვარულით იყო ავსებული, რომელსაც ქართველების „სავიზიტო ბარათს“ უწოდებდნენ აფხაზეთში, კაცი, რომელიც სიცოცხლეს უყვარდა ...

იპი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო მდივანი გახლდათ. 1993 წლის 27 სექტემბერს ჟიული შარტავასთან და მის სხვა კოლეგებთან ერთად ხელშეკრული გამოიყვანეს ბოევიკებმა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობიდან და ცალკე გაიყვანეს. მას შემდეგ მასზე მხოლოდ ლეგენდები დადის.

აი, რას წერს ჯუმბერის უერთგულესი მეგობარი რუსი პოეტი ევგენი ევტუშენკო: „და რა გინდა ჰქნა, თუკი შენ მოგაკვდა მეგობარი და ისიც კი არ იცი, სად არის მისი სხეული? მე ჩემს ცხოვრებაში არ მყოლია ჯუმბერ ბეთაშვილზე საყვარელი მეგობარი. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში საკმაოდ პროზაული — ადმინისტრაციულ-სამეურნეო თანამდებობა ჰქონდა, მაგრამ ის სიცოცხლის პოეტი იყო, ადამიანებისა და სიცოცხლის მთელი არნახულად ნაირფერადი სპექტრის მალმერთებელი პიროვნება იყო... ჯუმბერი ცეცხლწაკიდებულ მინისტრთა საბჭოს შენობიდან ხელგაყოფილი გამოიყვანეს, ამის შემდეგ კი არავის უნახავს. არის დაახლოებით 12 ვერსია. ზოგიერთი ვერსიით ის თვითგასამართლების მსხვერპლად დაეცა შარტავასთან ერთად. ისიც ითქვა, სადაღაც მთაში იმალებოდა. ვიღაცამ თქვა, სოჭში, ბაზარში, შესლილი ნახესო, მაგრამ არავინა იმის უშუალო მოწმე, ან როგორ მოკლეს ის, ან როგორ გადარჩა“.

ჯუმბერ ბეთაშვილი 1939 წელს თბილისში დაიბადა ზემელზე, კვალის ქ. 5-ში. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში სწავლობდა. მისი მეგობრები იყვნენ ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, გელა ჩარკვიანი, ავთო საყვარელიძე... მამა რკინიგზელი იყო და სამსახურის გამო სოხუმში გადავიდნენ საცხოვრებლად. ამასობაში მშობლები გაშორდნენ და ჯუმბერი ბებიამ გაზარდა.

მართალია, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ ბავშვობიდანვე გამორჩეულად უყვარდა მუსიკა, განსაკუთრებით ჯაზი. უკრავდა ფორტეპიანოზე, გიტარაზე, საქსაფონოზე. 80 წელს გადაცილებულ ოლღა ბებოსაც თურმე გატაცებით ასმენინებდა ჯაზს. ბიჭები ერთმანეთს სიცილით ასკვებოდნენ, როცა ბებოს ფანჯრის ქვემოდან ასძახებდნენ, ჯუმბერი სად არისო, ის კი უპასუხებდა: „ქაუნთ ბეისთან“ წავიდაო. ამერიკელი ჯაზისტი ბენი გულდმანი საგასტროლო ტურნეს მართავდა სოჭში, როცა ერთ-ერთი კონცერტის დროს ჯუმბერი დარბაზში წახა გულდმანის ქალიშვილმა. მოხმობულა ქართველი ბიჭი... და დაინცო სიყვარულის ამბავი. მას თურმე შესთავაზეს ამერიკაში ერთად გამგზავრება, მაგრამ უარი თქვა წარმატებულ კარიერასა და კარგ ცხოვრებაზე უცხოეთში.

22 წლის ყმანვილი უკვე სამგან მუშაობდა და ოჯახს არჩენდა. უკრავდა ანსამბლ „ლალიში“, უკრავდა გემზე, თუმცა ამ შემოქმედებით სამუშაოს თანადებობრივ სამსახურებსაც უთავსებდა. როგორც მეგობრები და ახლობლები იხსენებენ, თანამდებობრივ სავარძელში „მოხერხებულად“ არასოდეს უგრძენია თავი. რა სიტუაციაშიც არ უნდა ყოფილიყო, შეეძლო, ყოველდღიურობაზე მალდა დამდგარიყო: „სხვაგან არ არსებობს სიმდიდრე, იგი ადამიანებთან ერთად იბადებაო“. და ჰყავდა კიდევაც ბევრზე ბევრი მეგობარი: ქართველი, აფხაზი, რუსი...

როცა ცოლად ითხოვა ნელი ჩოჩიბეიშვილი, მას მხოლოდ ქართულად ელექტარაკებოდა, რადგან გოგონას რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ქართული თითქმის არ იცოდა. „ნელი, მოდი, ქართულად დაგელაპარაკები და შენც ეცადე, ქართულად მიპასუხო“, — იგონებს ქალბატონი ნელი და ტკივილით, მაგრამ ამასთანავე სიამოვნებით შლის მოგონებათა ფურცლებს. „ფხვამიძე ვიყავი მეორე გოგოზე. ჩემი უფროსი ქალიშვილი მეუბნება, დედა, რას იზამს მამა, რუსი ბავშვი რომ დაიბადოსო? იმიტომ კი არა, რომ ჯუმბერს რუსები არ უყვარდა. პი-

ჯუმბერ ბეთაშვილი - კასი, როპლის სისოსხლას უყვარდა

რიქით, ჩვენთან იკრიბებოდა მთელი რუსული ელიტა: „ჟურნალისტები, პოეტები, ლიტერატურათმცოდნეები, მსახიობები: ევგენი ევტუშენკო, თემურ გაიდარი, ალექსანდრე მერჟანოვი, ბელა ახმადულინა, ბულატ ოკუჯავა... რუსებს, აფხაზებს აყვარებდა საქართველოს, ქართულ სიმღერებს, ხალხს. სამი ქალიშვილი გვყავდა, რომ წამოიზარდნენ, ვეუბნებოდა ჯუმბერს, იქნებ გადავიდით საცხოვრებლად მოსკოვში ან თბილისში-მეთქი. მე აქედან წამსვლელი არსად არ ვარ, მე ის პირველი ქართველი ვარ, რომელიც სვდებდა აფხაზეთის მიწაზე ჩამოსულ ყველა სტუმარს და ჩემით საზღვრავდნენ აფხაზეთში ქართველებსო“

ამ სიტყვების გულწრფელობაში რწმუნდები მაშინ, როცა რუსი მეზობლისა და ჟურნალისტის თემურ გაიდარის სიტყვებს წაიკითხავ:

„აი, როგორი იყო იგი: საოცრად წარმოსადეგი, ლამაზი, ჭკვიანი. სამყაროს უმზერდა კეთილი თვალებით. ყველას რომ მისწარიად ემზირა ხალხისთვის, ნაცნობებისა და უცნობებისთვის, მთისა და ზღვისთვის, ტყისა და ტრამაილისთვის — ყველასათვის, ვინც ჩვენს ცოდევილ მიწაზე ცხოვრობს, დარწმუნებული ვარ, აღარ იქნებოდა ძალადობა, სიძულვილი და ძარცვა...“

ღმერთო რამდენი რუსი გენოსი და უდიდესი პოეტური ტალანტი ჰპოვებდა შთაგონებას საქართველოში. რამდენს დაეცნებარა, რამდენი ანუგეზა. რთულ, უფრო სწორად კი ტრადიციულ ცხოვრებაზე გზაზე ეს გასაოცარი კავშირი უჩუმრად, მაგრამ ბუნებრივად და თვალნათლივ გამოვლინდა ჯუმბერის — საქართველოს ერთ-ერთი ღირსეული შვილის ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ მისი განსვენებისას, არ შეიძლება არ იფიქრო ამ ორი ერის სულსა და სულიერებაზე. ზომი ნათელია, რომ არა მარტო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, არამედ ეთიკური რაღაც უფრო ამაღლებული, მიუხედავად დაშვებული შეცდომებისა, უსამართლობისა, ზოგჯერ კი მმართველთა დანაშაულობებისა, იზიდავდა და ახლაც იზიდავს რუსეთსა და საქართველოს ერთმანეთთან“.

„დარწმუნებული ვარ, ჯუმბერის სიკვდილში აფხაზების ხელი არ ურევია. ის, ალბათ, გადათივლებმა მოკლეს, — ამბობს ქალბატონი ნელი, — ლტოლვილობისას, ძალიან დამიდგნენ გვერდში ჯუმბერის მეგობრები. უნია ევტუშენკო სოხუმში გაფრინდა, შეხვდა არძინბას, მეც ველაპარაკე მოსკოვში სერგეი ბალაფს. მან მითხრა, მთელი აფხაზეთი მოვიარე, მაგრამ ვერ ვიპოვეო. ბორის პასტუხოვმაც იგივე გამიმერა. შენ იცი, რომ ფენით გავიარე ორჯონიკიძის ქუჩა, ვეძებდი, ვყვიროდი, ოღონდ უიული და ჯუმბერი გადაარჩინეთ-მეთქი. ან ზღვაში გადააგდეს ცხედარი, ან ექსკავატორით გადაასწორეს ქუჩაო“.

ქალბატონ ნელისა და მის ქალიშვილებს დაეხმარნენ კიდევ მეუღლისა და მამის მეგობრები... ქალბატონი ნელი იხსენებს: — „როცა წავინუნუნე, ჯუმბერ, ნახე ჩვენმა მეზობლებმა სახლი გაარემონტეს,

ავეჯი შეიძინეს, მოდი, ჩვენც ვიყიდოთ რამე-მეთქი, მოუშვებდა ონკანს და მეტყოდა, ნახე, რა წყალი მოდის, გაალებდა ფანჯარას, გაიხედე, რა ბუნებაა, როგორი ზღვა, ნახე, როგორი სტუმრები მოდიან ჩვენთან, ვინმე უყურებს, შენ როგორ ცხოვრობ, ქალიშვილები გვყავს, მე გყავარ. ღმერთს ნუ სცოდავ, ნელი. მე რომ არ ვიქნები შენ ჩემი მეგობრები და გეხმარებიანო“.

მას გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ფუნქცია. თბილისიდან ჩამოსულ მეგობრებს ხანდახან საყვედურიც კი უთქვამთ მისთვის. ზედმეტად ლოიალურად ექცევი აფხაზებსო. „რუსთაველის გამზირზე, ქართველობა ადვილია, აქ არის ძნელი. აფხაზები პატარა ერია, უნდა გაუფრთხილდე, მოვეფეროთ, შევიყვაროთ“, უპასუხებდა. სთხოვდა თურმე აფხაზ კარის მეზობელს, ჩემს შვილებს აფხაზურად ელაპარაკე და ასწავლეო. ბედის ირონიით, დაცემულ სოხუმში, აქირთავას ქ. 60-ში, ბეთაშვილების ბინის კარებზე ასეთი წარწერა გაჩნდა: „Я занял квартиру человека, который сотрудничал с врагами абхазского народа“.

არადა, როდესაც ომი დაიწყო 1991 წელს აფხაზები სწორედ ჯუმბერ ბეთაშვილის სახლში შეიკრიბნენ, იქ აფარებდნენ თავს. ზოგი გაიქცა მარტო, ზოგიც ოჯახთან ერთად და ურეკავდნენ აფხაზები, უგზავნიდნენ წერილებს, სთხოვდნენ დახმარებას, „გაიყვანე ჩემი ოჯახი“, „პროდუქტი მიაწოდე“, „შენი იმედი გვაქვს“.

26 სექტემბერს, სამთავრობო აგარაკზე იმყოფებოდა, როცა შემთხვევით გავარდნილ ტყვიას გაუკანრავს. საავადმყოფოში მისულს ეხვეწებოდნენ თურმე, ნუ დაბრუნდები, დაჭრილი ხარო. სანამ ქალები და ბავშვები სოხუმში რჩებიან, მე სად უნდა წავიდეო. მიხედვ ჩემს ქალიშვილსა და მეუღლესო, დაუბარებია ექიმი სიძისთვის. მისმა მეუღლემაც ყველაზე ბოლოს დატოვა ცეცხლწაკიდებული სოხუმში, იმ იმედით, რომ სულ მალე მეუღლესაც წახავდა.

ჯუმბერის საიუბილეო საღამოზე, რომელიც ქალბატონი ნელის ძალისხმევით გაიმართა, ევგენი ევტუშენკო ამბობს: „რომ იყოს ასეთი შესაძლებლობა, პირველი, ღმერთს პუშკინის გაცოცხლებას ვთხოვდი, მეორე კი — ჯუმბერისაო“. სხვათა შორის, ნიშანდობლივია, რომ ევგენი ევტუშენკოს ქორწილის დღეს, როცა მამის ბიუროში ხელი მოაწერეს, მინდელსონის მარშის ნაცვლად, თურმე „თბილისის“ მანგები იფრქვეოდა, სწორედ რომ ჯუმბერის დამსახურებით. შესაძლოა ამგვარი არაორდინალური იდეებისა და საქციელის გამო უთქვამს ერთ-ერთ რუს ეკონომისტ ტერეშენკოს, ეს არის ცოცხალი „ვაბლიკ რილეიშნ“. ასეთ ხალხს ამერიკაში ფულს უხდებოდა.

